# თავი 9

# ძირითადი საშუალებები და ცვეთის დარიცხვა

### *ძირითადი საშუალებების სიის მომზადება*

ძირითადი საშუალებების ანგარიშთა გეგმაში ასახვისათვის, საჭიროა გაიხსნას მათი შესაბამისი სასაქონლო სახეობის ანგარიშები. ძირითადი საშუალების დამატება შესაძლებელია, როგორც სასაქონლო სიიდან, ასევე უშუალოდ ანგარიშთა გეგმიდან.

ძირითადი საშუალებების აღსარიცხავად, საჭიროა, თითოეული ძირითადი საშუალებისთვის გაიხსნას ბარათი, სადაც შეტანილი იქნება საჭირო ინფორმაცია. ძირითად მენიუში "**ფონდები**" აირჩევთ ქვემენიუ "**სასაქონლო სია**":




ან დააჭერთ ინსტრუმენტების პანელზე არსებულ ღილაკს "**საქონელი / ძირითადი საშუალებები**" (Ctrl+5) - . ორივე შემთხვევაში იხილავთ ეკრანს:




სადაც მოცემულია დოკუმენტაციის წინა თავების განხილვის დროს დამატებული სასაქონლო სია. ძირითადი საშუალების დამატება

შესაძლებელია, როგორც ბარათიდან "**საქონელი**", ასევე ბარათიდან "**ძირითადი საშუალებები**". განვიხილოთ ორივე შემთხვევა. ამისათვის, დავამატოთ ორი ძირითადი საშუალება: სკანერი და მონიტორი.

იმისათვის, რომ ძირითადი საშუალება დავამატოთ ბარათიდან "**საქონელი**" აირჩიეთ საქონლის დამატების ღილაკი - და მიღებულ ეკრანზე მონიშნეთ ველი "**ძირითადი საშუალება**".



ველში "**დასახელება**" უნდა მიუთითოთ ძირითადი საშუალების დასახელება, ჩვენს შემთხვევაში - **სკანერი**;

ველში "**სასაქონლო ჯგუფი**" - მიუთითეთ ის ჯგუფი, რომელსაც ეკუთვნის ეს ძირითადი საშუალება, ჩვენი მაგალითისთვის - **საოფისე ტექნიკა** (***რჩევა:*** შეგიძლიათ შექმნათ ჯგუფი, ცვეთის კოეფიციენტის ნომრით, რათა მომავალში გაფილტროთ ძირ.საშ.-ბები ამ კრიტერიუმით და ჯგუფურად დაარიცხოთ ცვეთა);

ველში "**მინიმალური ერთეული**" - მიუთითეთ ძირითადი საშუალების უმცირესი საზომი ერთეული, ჩვენს შემთხვევაში - **ცალი**;

ველში "**გაყიდვის ფასი**" - მითითებული უნდა იყოს საქონლის გასაყიდი ფასი. ჩვენი შემთხვევისთვის დატოვეთ იგი ცარიელი.

მოცემული ეკრანის ველების შევსების შემდეგ დააჭირეთ OK - ს. რის შემდეგაც, ვინაიდან საქონლის დამატების ეკრანში მონიშნული იყო ველი "**ძირითადი საშუალება**", იხილავთ ეკრანს, სადაც მოცემულია ძირითადი საშუალებისათვის საჭირო ინფორმაციის ყველა ველი:





ველში "**ცვეთის დარიცხვის მეთოდი**" შესაძლებელია თქვენთვის სასურველი ცვეთის დარიცხვის მეთოდის არჩევა. ამ ველის გასწვრივ მდებარე ღილაკზე - დაჭერით, ჩამოიშლება ცვეთის დარიცხვის მეთოდების სია, საიდანაც შესძლებთ თქვენთვის სასურველი დარიცხვის მეთოდის არჩევას:




ცვეთის დარიცხვის მეთოდის არჩევისას ეკრანზე გააქტიურდება არჩეული მეთოდისათვის საჭირო ყველა ველი და ასევე ველის - "**ცვეთის დასარიცხი თანხა**" გასწვრივ მდებარე fx ფორმულა შეიცვლება დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

ჩვენს შემთხვევაში აირჩიეთ მეთოდი "**საგადასახადო**" და ეკრანზე გააქტიურებული ველები შეავსეთ შემდეგნაირად:

"**საინვენტარიზაციო ნომერი**" - 1205;

"**წარმოების თარიღი**" - 1.01.2003;

"**მიღების თარიღი**" - 1.01.2004;

"**ექსპლოატაციაში შესვლის თარიღი**" - 1.01.2004;

“**დახურვის თარიღი**” - ამ ველში ძირითადი საშუალების დამატების დროს არაფერი არ უნდა იყოს მითითებული. დახურვის თარიღი უნდა მიუთითოთ მოგვიანებით, როდესაც რეალურად დადგება აღნიშნული ძირითადი საშუალების დახურვის დრო.

თუ ძირითადი საშუალება დაიხურა დაშლის შედეგად, მაშინ ამ ველში ჩაიწერება ამ ძირითადი საშუალების დაშლის თარიღი. ხოლო თუ ძირითადი საშუალება დაიხურა ჩამოწერის შედეგად, მაშინ ამ ველში ჩაიწერება ძირითადი საშუალების ჩამოწერის თარიღი და მოინიშნება მის გასწვრივ მდებარე ველი “**ჩამოწერილია**”;

ველში “**საბალანსო ღირებულება**” - უნდა მიუთითოთ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულება დღგ - ს გარეშე. ამ ველის გასწვრივ საჭიროა მითითებული იყოს ანგარიში, რომელსაც ძირითადი საშუალების დამატების შემდეგ გაეხსნება სასაქონლო ქვეანგარიში, მოცემული ძირითადი საშუალების კოდითა და დასახელებით. ამისათვის, A01 ცვლადის გასწვრივ დააჭირეთ ღილაკს - [...]. იხილავთ ანგარიშთა გეგმას, სადაც აირჩიეთ ძირითადი საშუალების საბალანსო ანგარიში, ჩვენს შემთხვევაში - 2160.

ველში “**რაოდენობა**” მიუთითეთ აღნიშნული ძირითადი საშუალების რაოდენობა. მაგალითად: ორგანიზაციამ შეიძინა 4 ცალი სკანერი თითო 750 ლარის ღირებულებით. ამ შემთხვევაში საბალანსო ღირებულების ველში ჩაიწერება 3000 ლარი (750*4), ხოლო რაოდენობის ველში - 4.

“**ცვეთის წლიური კოეფიციენტი**” - 20;

“**დარიცხვის თვეების რაოდენობა**” - 12;

“**ნარჩენი ღირებულება**” - ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების მითითების შემდეგ ამ ველში ავტომატურად გამეორდება საბალანსო ღირებულების ველში მითითებული თანხა.

იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის შექმნამდე ეს ძირითადი საშუალება უკვე არსებობდა და მასზე წინა წლებში დარიცხულია ცვეთა, მაშინ ბუნებრივია ამ ველში ჩაიწერება საბალანსო ღირებულებასა და ჯამურ ცვეთას შორის სხვაობა. ჩვენი მაგალითისთვის დატოვეთ - 3000.

თუ გინდათ ნარჩენი ღირებულების ანგარიშთა გეგმაში ასახვა, მაშინ, ნარჩენი ღირებულების ანგარიშის ველში - A02, შეგიძლიათ მიუთითოთ სასურველი ანგარიში იგივე წესით, როგორც განვიხილეთ საბალანსო ღირებულების შემთხვევაში.

“**ცვეთის დასარიცხი თანხა**” - ამ თანხის ავტომატურად გამოსა- თვლელად, ისარგებლეთ მის გვერდით მოთავსებული ღილაკით -



[fx], რის შემდეგაც პროგრამა გამოითვლის ცვეთის დასარიცხ თანხას - 600, ამ ველის გასწვრივ ჩაწერილი ფორმულის მიხედვით.

“**ჯამური ცვეთის თანხა**” - ჩვენს შემთხვევაში აქ არაფრის მითითება არ არის საჭირო. ყოველი ცვეთის დარიცხვის ოპერაციის შესრულების შემდეგ ამ ველში ავტომატურად ჩაიწერება ჯამური ცვეთის თანხა.

იმ შემთხვევში, თუ საბალანსო და ნარჩენი ღირებულებები ერთმანეთისგან განსხვავდება, ანუ ძირითად საშუალებაზე უკვე დარიცხული იყო ცვეთა, ჯამური ცვეთის თანხის ავტომატურად გამოსათვლელად უნდა დააჭიროთ ღილაკს - [fx].

ჯამური ცვეთის თანხის ანგარიშის ველში (A04) მიუთითეთ აღნიშნული ძირითადი საშუალების ცვეთის ანგარიში, ჩვენს შემთხვევაში - 2260, ისევე, როგორც ეს გააკეთეთ A01 - ის შემთხვევაში.

“**აფასების თანხა**” — ძირითადი საშუალების აფასების შემთხვევაში ამ ველში უნდა მიუთითოთ ძირითადი საშუალების აფასების თანხა და აფასების თანხის ანგარიშის ველში - A05 უნდა მიუთითოთ სასურველი ანგარიში.

“**დღგ**” - ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების მითითების შემდეგ აღნიშნულ ველში ავტომატურად ჩაიწერება მოცემული ძირითადი საშუალების დღგ - ს თანხა, რომელიც გამოითვლება აღნიშნული ველის გასწვრივ მდებარე fx ფორმულის ველში მითითებული ფორმულით. ანგარიშის ველში A06 უნდა მიუთითოთ სასურველი მომწოდებლის ანგარიში, რომელიც მომავალში გაითვალისწინება ძირითადი საშუალების მიღების დროს.

“**მატერიალური პასუხისმგებელი**” - ამ ველში, მის გასწვრივ მოთავსებული ღილაკის - [...] გამოყენებით უნდა მიუთითოთ ამ ძირითად საშუალებაზე პასუხისმგებელი პირი. დააჭირეთ აღნიშნულ ღილაკს, რის შემდეგაც გახვალთ თანამშრომლების სიაზე, სადაც ჩვენი მაგალითი- სთვის დაამატეთ - **წერეთელი ლ.ა.** და აირჩიეთ იგი ხელის გამოსახულების ღილაკის გამოყენებით.

“**გადაეცა**” - ამ ველში უნდა მიუთითოთ მატერიალური პასუხისმგე- ბელი პირისათვის აღნიშნული ძირითადი საშუალების გადაცემის თარიღი. ჩვენს შემთხვევაში აკრიფეთ - **01.01.2005.**

“**განყოფილება**” - უნდა მიუთითოთ მატერიალური პასუხისმგებლის განყოფილება. ჩვენი მაგალითისთვის ისარგებლეთ ღილაკით - [...]. რის შემდეგაც პროგრამა გაგიყვანთ განყოფილებების სიაზე, სადაც

ჩვენი მაგალითისთვის დაამატეთ - **ადმინისტრაცია** და აირჩიეთ იგი ხელის გამოსახულების ღილაკით.

"**კომენტარი**" - მიუთითეთ ნებისმიერი კომენტარი ძირითადი საშუალების შესახებ.

ძირითადი საშუალების დამატების ეკრანში შევსებული ველების და ანგარიშების სიმბოლოები (A … H, A01 … A06) შეგიძლიათ გამოიყენოთ ძირითადი საშუალებების მიღების, ცვეთის დარიცხვის, აფასების, ჩამოწერის, დაშლის, გაერთიანების ოპერაციების შესრულების და სასტარტო ნაშთების დასმის დროს.

ველების შევსების შემდეგ იხილავთ ეკრანს :



დააჭირეთ "OK" - ს. იხილავთ ეკრანს :



როგორც ხედავთ ძირითადი საშუალებების ეკრანში დაემატა ახალი



ძირითადი საშუალება - **სკანერი**, კოდით 00006. აგრეთვე, საბალანსო ღირებულების - A01 და ჯამური ცვეთის - A04 ანგარიშების ველებში მითითებულ ანგარიშებს (შესაბამისად 2160 და 2260) გაეხსნებათ სასაქონლო ქვეანგარიშები კოდით 00006 და დასახელებით **სკანერი.**



დავამატოთ კიდევ ერთი ძირითადი საშუალება - **მონიტორი.** მოდით, ამ შემთხვევაში დავუშვათ, რომ საბალანსო და ნარჩენი ღირებულების თანხები ერთმანეთისგან განსხვავებულია. ძირითადი საშუალებების ეკრანში აირჩიეთ დამატების ღილაკი - . იხილავთ ეკრანს, რომელიც შემდეგნაირად შეავსეთ:



დააჭირეთ "OK" - ს. ნახავთ, რომ სიაში დაემატება ძირითადი საშუალება - **"მონიტორი"**.

ძირითადი საშუალების ანგარიშთა გეგმიდან დამატება ხდება სასაქონლო ანგარიშის დამატების მსგავსად, რაც განხილულია მე-3 თავში, სასაქონლო სახეობის ანგარიშების განხილვის დროს.

### *ძირითადსაშუალებებზესასტარტონაშთებისდასმა*

ძირითად საშუალებაზე სასტარტო ნაშთის დასმა შესაძლებელია, როგორც სასაქონლო სიიდან, ასევე ანგარიშთა გეგმიდან.

ანგარიშთა გეგმიდან სასტარტო ნაშთის დასმა უკვე აღწერილია მე-3 თავში **"ანგარიშთა გეგმის მომზადება და სასტარტო ნაშთების დასმა"**.

განვიხილოთ, როგორ შეიძლება ნაშთის დასმა სასაქონლო სიიდან.

სასაქონლო სიიდან ძირითად საშუალებებზე სასტარტო ნაშთის დასმა უფრო მოსახერხებელია, რადგან აქ შეცდომის დაშვების ალბათობა შედარებით მცირეა და ასევე შესაძლებელია ერთი ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების და ჯამური ცვეთის (ასევე ნარჩენი ღირებულების, აფასების და ცვეთის დასარიცხი თანხის) ანგარიშებზე ერთდროულად დავსვათ სასტარტო ნაშთები.

თუ პროგრამასთან მუშაობის დაწყების მომენტში ორგანიზაციაში უკვე არსებობს ძირითადი საშუალებები, მაშინ მათი საბალანსო ღირებულება და წინა წლებში დარიცხული ჯამური ცვეთის თანხა უნდა დასვათ სასტარტო ნაშთად.

სასტარტო ნაშთის დასმა ყველა ძირითად საშუალებაზე ხდება ცალ-ცალკე. მაგალითისათვის დავსვათ სასტარტო ნაშთები ჩვენს მიერ დამატებულ ძირითად საშუალებებზე. ამისათვის, ჯერ მონიშნეთ - **სკანერი** და აირჩიეთ ღილაკი **"სასტარტო ნაშთის დასმა"** - . იხილავთ ეკრანს:






როგორც ხედავთ ამ ეკრანზე, გააქტიურებულია მხოლოდ ის ველები, რომლებსაც აღნიშნული ძირითადი საშუალების ბარათში, ცვლადების (A01 და A04) ველებში მიუთითეთ შესაბამისი ანგარიშები, ანუ ჩავთვალეთ რომ ეს თანხები უნდა აისახოს ანგარიშთა გეგმაში. აქედან გამომდინარე, მოცემულ ეკრანზე ველები აქტიურდება იმის და მიხედვით, ძირითადი საშუალების ბარათში, ცვლადებში A01 ... A06 არის თუ არა მითითებული მათი შესაბამისი ანგარიშები.

ამავე ეკრანში შეგიძლიათ მიუთითოთ სასურველი პროექტი, ველში **"პროექტი"**. ჩვენი მაგალითისთვის დატოვეთ **"მთ.წიგნი"**.

ჩვენს შემთხვევაში მონიშნეთ ველი - **"საბალანსო ღირებულება"** ანუ ის ანგარიში რომელზეც უნდა დაისვას საწყისი ნაშთი და დააჭირეთ ღილაკს - 

.

ეხლა დავსვათ სასტარტო ნაშთი ძირითად საშუალებაზე - **მონიტორი.** რადგან აღნიშნულ ძირითად საშუალებაზე წინა წლებში უკვე იყო დარიცხული ცვეთა, ამიტომ სასტარტო ნაშთი უნდა დასვათ როგორც საბალანსო ღირებულების, ასევე ჯამური ცვეთის ანგარიშზე. ამისათვის, მონიშნეთ - **მონიტორი** და გაიმეორეთ იგივე მოქმედება, რაც **სკანერის** შემთხვევაში, ოღონდ ამ შემთხვევაში **"საბალანსო ღირებულების"** ველთან ერთად უნდა მონიშნოთ ველი **"ჯამური ცვეთის თანხა".**




სასტარტო ნაშთის დასმის შემდეგ დახურეთ სასაქონლო სიის

ეკრანი. გახსენით ანგარიშთა გეგმის ეკრანი და მოძებნეთ ძირითადი საშუალებების ანგარიშის (2160-ის) ქვეანგარიშები:



როგორც ეკრანზე ხედავთ თქვენს მიერ დასმული სასტარტო ნაშთები აისახა ანგარიშთა გეგმაში.

### *ძირითადი საშუალების მიღება*

ძირითადი საშუალების მისაღებად საჭირო გატარებების შესრულება შესაძლებელია, როგორც ძირითადი საშუალებების ეკრანიდან, ასევე უშუალოდ გატარებებიდან. ორივე შემთხვევაში უნდა შეიქმნას ძირითადი საშაულების ბარათი. საქონლის მიღების ოპერაცია გატარებების ეკრანში ჩვენ უკვე განხილული გვაქვს მე-5 თავში "**საბუღალტრო გატარებები**". ეხლა განვიხილოთ ძირითადი საშუალების მიღება ძირითადი საშუალებების ეკრანიდან. დავუშვათ, ორგანიზაციამ შპს "**ვერე**" - სგან შეიძინა 1200 ლარის ღირებულების გენერატორი. დაამატეთ აღნიშნული ძირითადი საშუალების ბარათი, რომლის ველები შეავსეთ შემდეგნაირად:





დაასრულეთ მონაცემების შეტანა ღილაკით OK, ხოლო შემდეგ მონიშნეთ ახლად დამატებული ძირითადი საშუალება და დააჭირეთ ღილაკს "**ძირითადი საშუალებების მიღება**" - . იხილავთ ეკრანს:



როგორც ეკრანზე ხედავთ პროგრამაში უკვე არსებობს გატარებები, რომლებიც თან სდევს ძირითადი საშუალების შეძენას.

პირველი გატარების ველში "**სადებეტო ანგარიში**" მითითებულია A01 (ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების ანგარიშის ცვლადი), "**საკრედიტო ანგარიში**" - A06 (მომწოდებლის ანგარიშის ცვლადი). ეს იმას ნიშნავს, რომ სისტემა ძირითადი საშუალების მიღების ოპერაციის შესრულების დროს ავტომატურად აიღებს იმ

ანგარიშებს, რომელიც მითითებული იქნა თითოეული ძირითადი საშუალების ბარათის შევსებისას შესაბამისი ცვლადების ველებში - A01 და A06. ველში "**თანხა**" მითითებულია ცვლადი - A (საბალანსო ღირებულების ცვლადი). მიღების ოპერაციის შესრულებისას სისტემა ავტომატურად აიღებს იმ თანხას, რომელიც მითითებული იქნა თითოეული ძირითადი საშუალების ბარათის შესაბამისი ცვლადის A ველში. თუ კურსორით 2 - ჯერ დააჭერთ ველზე "**საფუძველი**", შესძლებთ სასურველი საფუძვლის მითითებას. მაგალითად, აკრიფეთ "**ძირითადი საშუალების მიღება**". შემდეგ დააჭირეთ "Enter" - ს.




ეკრანზე მოცემული მეორე ჩანაწერი შეასრულებს დღგ - ს შესაბამის გატარებას.

საჭიროების შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ ახალი გატარების დამატება, არსებულის კორექტირება ან წაშლა შესაბამისად ღილაკებით - .

! *ახალი გატარების დამატება განხილულია ქვემოთ **"ძირითადი საშუალებების აფასების"** ოპერაციის აღწერის დროს.*

ძირითადი საშუალების მიღების ოპერაციის შესასრულებლად ველში "**თარიღი**" მიუთითეთ თქვენთვის სასურველი თარიღი (ჩვენს შემთხვევაში **02.03.2005**) და დააჭირეთ "OK"- ს.

ეხლა ვნახოთ შესრულდა თუ არა აღნიშნული ოპერაცია. ამ ოპერაციის შესაბამისი გატარებების ნახვას შესძლებთ, როგორც ძირითადი გატარებების ეკრანში, ასევე სამეურნეო ოპერაციებში. დახურეთ ძირითადი საშუალებების ეკრანი და ძირითადი მენიუდან "**ოპერაციები**" აირჩიეთ ქვემენიუ "**სამეურნეო ოპერაციები**". იხილავთ ეკრანს, სადაც დაემატება შესაბამისი ოპერაციის ჩანაწერი:





ვნახოთ რა გატარებები შეასრულა ძირითადი საშუალების მიღების ოპერაციამ. ამისათვის, მონიშნეთ ეს ოპერაცია და აირჩიეთ ბარათი "**გატარებები**". იხილავთ ეკრანს :



როგორც ეკრანზე ხედავთ ოპერაციამ ავტომატურად შეასრულა ყველა საჭირო გატარება.

დახურეთ სამეურნეო ოპერაციების ეკრანი.

### *ცვეთის დარიცხვა*

ცვეთის დარიცხვის ოპერაციის შესასრულებლად ძირითადი საშუალებების ეკრანში უნდა ისარგებლოთ ღილაკით -  "**ცვეთის დარიცხვა** (F8)".

პროგრამა გაძლევთ საშუალებას მოახდინოთ ცვეთის დარიცხვა,

როგორც ერთდროულად ყველა ძირითად საშუალებაზე, ასევე, ცალ-ცალკე მხოლოდ მონიშნულ ძირითად საშუალებებზე (მონიშვნა შესაძლებელია სტანდარტულად Ctrl ან Shift ღილაკების დახმარებით). ჩვენს შემთხვევაში მონიშნეთ - **ცკანერი** და დააჭირეთ ღილაკს "**ცვეთის დარიცხვა**" (F8) - . იხილავთ ეკრანს :



როგორც ეკრანზე ხედავთ პროგრამაში უკვე არსებობს სტანდარტული ცვეთის დარიცხვის გატარება. რომელიც საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ გააკორექტიროთ. გაააქტიურეთ ველი "**საფუძველი**" და აკრიფეთ მაგ.: "**ძირითადი საშუალების ცვეთა**". შემდეგ დააჭირეთ "Enter" - ს.



როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცვეთის დარიცხვა შესაძლებელია შესრულდეს, როგორც მონიშნულ, ასევე ყველა ძირითად საშუალებაზე ერთად. ამისათვის, უნდა მოინიშნოს ეკრანის ზედა ნაწილში მოცემული შესაბამისი ველი. ჩვენი მაგალითისთვის დატოვეთ მონიშნული ველი "**მონიშნულ ძირითად საშუალებებზე**".

ველში "**თარიღი**" უნდა მიუთითოთ ოპერაციის შესრულების თარიღი. ჩვენს შემთხვევაში მიუთითეთ - **30.12.2005** და დააჭირეთ "OK" - ს.

იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ შესრულა თუ არა სისტემამ ცვეთის დარიცხვის ოპერაცია, შევამოწმოთ ძირითადი საშუალების - **ცკანერის** ბარათი. მონიშნეთ იგი და დააჭირეთ კორექტირების ღილაკს - .



იხილავთ ეკრანს:



როგორც ეკრანზე ხედავთ შეიცვალა, როგორც ნარჩენი ღირებულება, ასევე ცვეთის დასარიცხი და ჯამური ცვეთის თანხები. დააჭირეთ "Cancel" - ს და დახურეთ ძირითადი საშუალებების ეკრანი.

აღნიშნული ცვლილებების გარდა, სისტემამ შეასრულა ცვეთის დარიცხვის გატარებები, რომლის ნახვაც შესაძლებელია როგორც ძირითადი გატარებების ეკრანში, ასევე სამეურნეო ოპერაციების ეკრანში. გამოიძახეთ იგი ღილაკით - . ეკრანზე იხილავთ:



ეკრანის ქვედა ნაწილში მონიშნეთ შესრულებული ოპერაცია "***ცვეთის დარიცხვა***" და აირჩიეთ ბარათი "**გატარებები**". ეკრანზე იხილავთ ამ ოპერაციის შესაბამის გატარებებს:



### *ძირითადი საშუალების აფასება*

ძირითადი საშუალების აფასების ოპერაციების შესრულება შესაძლებელია უშუალოდ ძირითადი საშუალებების ეკრანიდან. ერთ-ერთი ძირითადი საშუალების მაგალითზე განვიხილოთ როგორ სრულდება აფასების ოპერაცია. ვთქვათ, რაღაც მიზეზების გამო ძირითადი საშუალება **გენერატორი** აფასდა 100 ლარით. ამ ოპერაციის შესასრულებლად თავდაპირველად გააკორექტირეთ გენერატორის ბარათი, ველში "**აფასების თანხა**" - F აკრიფეთ - 100 და დაასრულეთ კორექტირება "Ok" - ზე დაჭერით. ამის შემდეგ აირჩიეთ ღილაკი "**აფასება** (F9)" - . იხილავთ ეკრანს:




როგორც ხედავთ აღნიშნული ეკრანი ცარიელია, აქ საჭიროა



დამატებულ იქნას ის გატარებები, რომლებიც თან სდევს ძირითადი საშუალებების აფასებას. მაგალითისათვის დავამატოთ გატარება:

დებეტი 2100 კრედიტი 8190 თანხა 100

ამისათვის, დააჭირეთ დამატების ღილაკს. იხილავთ ეკრანს:




იმისათვის, რომ აფასების ოპერაცია არ იყოს ხისტი და საჭიროების შემთხვევაში გამოვიყენოთ სხვა ძირითადი საშუალებებისთვისაც, საჭიროა ზემოთ მოცემული გატარება დავამატოთ შემდეგნაირად: სადებეტო ანგარიშის ველში 2-ჯერ დააჭირეთ ღილაკს - . იხილავთ ეკრანს:




როგორც ხედავთ მონიშნულია ცვლადი - A01 (საქონლის საბალანსო ღირებულების ანგარიში). დააჭირეთ "OK" - ს. ნახავთ, რომ სადებეტო ანგარიშის ველში ჩაჯდება თქვენს მიერ არჩეული ცვლადი ე.ი. აფასება მოხდება ძირითადი საშუალების ბარათში A01 ცვლადის ველში მითითებულ ანგარიშზე.

საკრედიტო ანგარიშის ველში 2-ჯერ დააჭირეთ ღილაკს - , იხილავთ ანგარიშთა გეგმას, სადაც აირჩიეთ ანგარიში - 8190.

შემდეგ თანხის ველში 2-ჯერ დააჭირეთ ღილაკს - , იხილავთ ეკრანს:




აირჩიეთ ცვლადი - F (აფასების თანხა) ე.ი. ოპერაცია აფასებას მოახდენს ძირითადი საშუალების ბარათში F ველში მითითებული თანხით. დააჭირეთ “OK” - ს. იხილავთ ეკრანს :



ამით ჩვენ მოვამზადეთ გატარება, რომელიც სრულდება ძირითადი საშუალებების აფასების დროს. ველში “**თარიღი**” მიუთითეთ აფსების ოპერაციის თარიღი და დააჭირეთ “OK” - ს.

ეხლა ვნახოთ რა ცვლილებები გამოიწვია აფასების ოპერაციამ. ამისათვის, გააკორექტირეთ ძირითადი საშუალება - **გენერატორი.** იხილავთ ეკრანს:





როგორც ეკრანზე ხედავთ **გენერატორის** საბალანსო და შესაბამისად ნარჩენი ღირებულების თანხები გაიზარდა 1 300 ლარამდე. ცვეთის დასარიცხი ახალი თანხის გამოსათვლელად დააჭირეთ ამ ველის გასწვრივ მოთავსებულ ღილაკს - . დაინახავთ, რომ იგი შეიცვლება ახალი ღირებულების შესაბამისად - 195. დააჭირეთ “OK” - ს.

ეხლა კი ვნახოთ რა გატარებები შეასრულა აღნიშნულმა ოპერაციამ. ამისათვის, გახსენით “**სამეურნეო ოპერაციების**” ეკრანი, სადაც მონიშნეთ აფასების ოპერაციის ჩანაწერი და აირჩიეთ ბარათი “**გატარებები**”. იხილავთ ეკრანს :



იგივე გატარებას ნახავთ ძირითადი გატარებების ეკრანში. დახურეთ სამეურნეო ოპერაციების ეკრანი.

იგივენაირად ხდება ძირითადი საშუალების ჩამოწერის ოპერაციის შესრულება ღილაკით "**ჩამოწერა**" (F10) - .

### *ძირითადი საშუალებების დაშლა*

განვიხილოთ ასეთი შემთხვევა: ვთქვათ, 4 ცალი სკანერიდან, რომელიც ჩვენ დავამატეთ ძირითადი საშუალებების სიის მომზადებისას, საჭიროა 1 ცალი გადაეცეს პასუხისმგებელ პირს - ა. ნოზაძეს, ხოლო 3 ცალი ლ. წერეთელს. ვნახოთ, როგორ შეიძლება ამ ოპერაციის შესრულება. ამისათვის, ძირითადი საშუალებების ეკრანში მონიშნეთ **სკანერი** და აირჩიეთ ღილაკი "**ძირითადი საშუალების დაშლა**" - . იხილავთ ეკრანს:



ველში "**ტრანზიტული ანგარიში ნაშთების გადასატანად**" საჭიროა მითითებული იყოს ნებისმიერი შუალედური ანგარიში, მაგ. ბალანსგარეშე. აირჩიეთ ამ ველის გასწვრივ მდებარე ღილაკი - ... . იხილავთ ანგარიშთა გეგმას, სადაც დაამატეთ ბალანსგარეშე ანგარიში - C000, დაარქვით მას "**ტრანზიტული ანგარიში**" და აირჩიეთ იგი. ნახავთ, რომ შესაბამის ველში ჩაჯდება ანგარიში - C. შემდეგ აირჩიეთ გატარების დამატების ღილაკი - , რათა დავამატოთ ძირითადი საშუალების დაშლის



გატარება. იხილავთ ეკრანს:



გააკორექტირეთ ველი "**დასახელება**", აკრიფეთ - **სკანერი 1** და დააჭირეთ "Enter" - ს. ველში "**რაოდენობა**" აკრიფეთ ციფრი - 1, რისი მითითების შემდეგ დაინახავთ, რომ საბალანსო ღირებულების, ჯამური ცვეთის, დასარიცხი და ნარჩენი ღირებულების თანხები ავტომატურად შეიცვლება. ამის შემდეგ 2-ჯერ დააჭირეთ ველზე "**პასუხისმგებელი**". იხილავთ თანამშრომლების სიას, სადაც დაამატეთ ახალი თანამშრომელი - **ნოზაძე ა.გ.** და აირჩიეთ იგი ღილაკით - . იხილავთ ეკრანს:



კვლავ აირჩიეთ გატარების დამატების ღილაკი - და შეავსეთ

ველები შემდეგნაირად:



ამრიგად, ჩვენ გავამზადეთ ძირითადი საშუალების დაშლისთვის საჭირო გატარებები. ამ ოპერაციის შესასრულებლად დააჭირეთ “OK” - ს. იხილავთ ეკრანს:



როგორც ეკრანზე ხედავთ ძირითადმა საშუალებამ - **სკანერი** კოდით - 00006, მიიღო ვარდისფერი ფერი ანუ დაიხურა. აგრეთვე, სიაში გაჩნდა კიდევ ორი ძირითადი საშუალება **სკანერი 1** კოდით - 00009 და **სკანერი 2** კოდით - 00010. თუ გააკორექტირებთ თითოეულ მათგანს შეამჩნევთ, რომ ველში კომენტარი ზის ინფორმაცია მათი დახურვისა და შექმნის შესახებ. მაგალითად, მონიშნეთ **სკანერი 2** და აირჩიეთ კორექტირების ღილაკი - .





როგორც ხედავთ ველში “**კომენტარი**” წერია შემდეგი: **გაიხსნა დაშლის შედეგად: 4.03.2005 NN: 00006.**

ვნახოთ რა გატარებები შეასრულა აღნიშნულმა ოპერაციამ, ამისათვის, გამოიძახეთ სამეურნეო ოპერაციების ეკრანი. შესრულებული ოპერაციების სიაში მოძებნეთ ძირითადი საშუალების დაშლის ოპერაცია, მონიშნეთ იგი და აირჩიეთ ბარათი “**გატარებები**”:



იგივე გატარებებს ნახავთ ძირითადი გატარებების ეკრანში.

### *ძირითადი საშუალებების გაერთიანება*

პროგრამა აგრეთვე, გაძლევთ ძირითადი საშუალებების გაერთიანების საშუალებას. მოდით, ვნახოთ, როგორ შეიძლება ამის გაკეთება. თავდაპირველად საჭიროა მოინიშნოს ის ძირითადი საშუალებები, რომელთა გაერთიანებაც გსურთ. მოდით, სიმარტივისთვის გავაერთიანოთ ის ძირითადი საშუალებები, რომლებიც ცოტა ხნის წინ დავშალეთ. მონიშნეთ **სკანერი 2** კოდით - 00010 და **სკანერი 1** კოდით - 00009. შემდეგ აირჩიეთ ღილაკი "**ძირითადი საშუალებების გაერთიანება**" - . იხილავთ ეკრანს:



ეკრანის ზედა ნაწილში ველში "**დასახელება**" დატოვეთ მხოლოდ ***სკანერი.*** შეგიძლიათ შეცვალოთ პასუხისმგებელი პირი. ჩვენს შემთხვევაში დატოვეთ იგივე. ტრანზიტული ანგარიში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული. დააჭირეთ "OK" - ს. იხილავთ ეკრანს:





როგორც ეკრანზე ხედავთ ძირითადმა საშუალებებმა, **სკანერი 1** კოდით - 00009 და **სკანერი 2** კოდით - 00010, მიიღეს ვარდისფერი ფერი ანუ დაიხურნენ. აგრეთვე, სიაში გაჩნდა კიდევ ერთი ძირითადი საშუალება **სკანერი** კოდით - 00011. თუ გააკორექტირებთ თითოეულ მათგანს შეამჩნევთ, რომ ველში კომენტარი ზის ინფორმაცია მათი დახურვისა და შექმნის შესახებ.

იმისათვის, რომ ვნახოთ რა გატარებები შესრულა აღნიშნულმა ოპერაციამ, გამოიძახეთ სამეურნეო ოპერაციები. შესრულებული ოპერაციების სიაში მოძებნეთ ძირითადი საშუალებების გაერთიანების ოპერაცია, მონიშნეთ იგი და აირჩიეთ ბარათი "**გატარებები**":



იგივე გატარებებს იხილავთ ძირითადი გატარებების ეკრანში.

### *პასუხისმგებლის/განყოფილების ცვლილება*

სისტემაში შესაძლებელია ძირითადი საშუალების პასუხისმგებელი პირისა და განყოფილების ცვლილება. ამისათვის, მონიშნეთ სასურველი ძირითადი საშუალება (ერთი ან რამოდენიმე) და დააჭირეთ ღილაკს "**პასუხისმგებლის/განყოფილების ცვლილება**" - . იხილავთ ეკრანს:




მატერიალური პასუხისმგებლისა და განყოფილების არჩევას შესძლებთ ღილაკით - [...]. ველში "**გადაეცა**" შეგიძლიათ მიუთითოთ პასუხისმგებლის და განყოფილების ცვლილების თარიღი. აღნიშნული ოპერაციის შესასრულებლად უნდა დააჭიროთ "OK" - ს.

### *არქივი*

პროგრამაში არსებობს ძირითად საშუალებებზე შესრულებული ყველა ოპერაციის არქივი. საიდანაც შეგიძლიათ აღადგინოთ შესრულებული ოპერაციები (აღდგენა სრულდება ბოლო ოპერაციიდან ზემოთ), დაბეჭდოთ და გაფილტროთ ოპერაციების სია, გაიტანოთ Excel-ში დაააწყოთ სია სასურველი ველების მიხედვით. არქივის გამოძახებას შესძლებთ ღილაკით "**არქივი**" - . იხილავთ ეკრანს:




როგორც ეკრანზე ხედავთ არქივში ნაჩვენებია ყველა ის ოპერაცია, რომელიც ჩვენ შევასრულეთ. ოპერაციების აღდგენა შესაძლებელია ღილაკით - (***! აღდგენის ოპერაცია გულისხმობს შესრულებული ოპერაციის შესაბამისი გატარებების გაუქმებას***), ბეჭდვა - , გაფილტვრა - , ძიება - , ექსპორტი - , სიის აწყობა - , ხის შეკუმშვა - .



### *ძირითადი საშუალების სასაქონლო სიაში გადატანა*

სისტემაში შესაძლებელია ძირითადი საშუალებების სიაში დამატებული საქონლის სასაქონლო სიაში გადატანა. ამისათვის, მონიშნეთ სასურველი ძირითადი საშუალება და დააჭირეთ ღილაკს "**გადავიტანოთ ძირითადი საშუალება სასაქონლო სიაში**" - .

### *პაკეტური კორექტირება*

პროგრამა საშუალებას გაძლევთ ერთდროულად რამოდენიმე ან ყველა ძირითადი საშუალების ბარათის ერთი ველის მნიშვნელობა შეცვალოთ მეორეთი. მაგალითისთვის ჩვენს მიერ დამატებულ ძირითად საშუალებებს შევუცვალოთ ჯგუფი. როგორც გახსოვთ ისინი ეკუთვნიან "**საოფისე ტექნიკა**" - ს. შევცვალოთ იგი "**I ჯგუფით**".

გამოიძახეთ ძირითადი საშუალებების ეკრანი. მონიშნეთ ყველა ძირითადი საშუალება (Ctrl+A) და დააჭირეთ ღილაკს "**პაკეტური კორექტირება**" (Alt+F2) - . იხილავთ ეკრანს:



როგორც ეკრანზე ხედავთ, მოცემულია ძირითადი საშუალების ბარათში არსებული ყველა ველი. ე.ი. შესაძლებელია პაკეტურად შეიცვალოს ძირითადი საშუალების ნებისმიერი მონაცემი.

ჩვენს შემთხვევაში დააჭირეთ ველს "**ჯგუფი**". ნახავთ, რომ ველები "**რა**" და "**რითი**" გააქტიურდება. ველის "**რა**" გასწვრივ აირჩიეთ ღილაკი - [...]. იხილავთ ეკრანს:




მონიშნეთ ჩანაწერი "**საოფისე ტექნიკა**" და დააჭირეთ ღილაკს "**არჩევა**"- . შემდეგ ველის "**რითი**" გასწვრივ აირჩიეთ ღილაკი - [...]. კვლავ იხილავთ ჯგუფების სიას, სადაც დაამატეთ ახალი ჯგუფი "**I ჯგუფი**" და აირჩიეთ იგი ღილაკით - . იხილავთ ეკრანს:





დააჭირეთ "OK" - ს. იხილავთ ეკრანს:




კვლავ დააჭირეთ "OK" - ს. იხილავთ ეკრანს:



როგორც ხედავთ ყველა ძირითად საშუალებას ერთდროულად შეეცვალა ჯგუფი.

ღილაკები "**ფილტრი**" (F4) - , "**ძიება**" (F5) - , "**დალაგება**" (F6) - , "**ექსპორტ/იმპორტი**" - , "**სიის აწყობა**" (F11) - უკვე განხილულია წინა თავებში. ძირითადი საშუალებების ეკრანშიც მათ იგივე დანიშნულება აქვთ.

### *ძირითადი საშუალებების სიის ბეჭდვა*

სისტემა საშუალებას გაძლევთ დაბეჭდოთ ძირითადი საშუალებების სია. მოდით, ჯერ გავფილტროთ ძირითადი საშუალებების სია დახურვის თარიღის მიხედვით ისე, რომ ეკრანზე გამოჩნდეს მხოლოდ რეალურად არსებული ძირითადი საშუალებების ნუსხა. ამისათვის, გამოიძახეთ ფილტრის ეკრანი. რადგანაც ჩვენი მაგალითისთვის ძირითადი საშუალებების დაშლის და გაერთიანების ოპერაციები შესრულებული გვქონდა 4.03.2005 - ში, ამიტომ შეავსეთ ფილტრის ეკრანი შემდეგნაირად:






დააჭირეთ "Ok" - ს. ამის შემდეგ აირჩიეთ ღილაკი "**ბეჭდვა**" (F3) - . იხილავთ ეკრანს :




როგორც ხედავთ, მონიშნულია ველი "**სტანდარტული**". ამ შემთხვევაში დაიბეჭდება სისტემაში არსებული ძირითადი საშუალებების სტანდარტული ფორმა. ხოლო "**ეკრანზე არსებული**" - ს მონიშვნისას დაიბეჭდება მხოლოდ ის ველები, რომლებიც ჩანს ძირითადი საშუალებების ეკრანზე (ან ის ველები რომლებიც თქვენ დატოვეთ ეკრანზე სიის აწყობის დროს). დააჭირეთ "OK" - ს. იხილავთ ეკრანს:




მონიშნეთ ველი "**ეკრანზე**", რათა ძირითადი საშუალებების ნაბეჭდი ფორმა იხილოთ ჯერ ეკრანზე. დააჭირეთ "OK" - ს. იხილავთ ეკრანს:



თუ გსურთ დაბეჭდვა, ისარგებლეთ ღილაკით - . ხოლო ეკრანის დასახურად ბეჭდვის გარეშე დააჭირეთ ღილაკს "**უარი**"- .